



კვირა, 7 აგვისტო, 1916 წ.

ჩიდაძისი ალბანი:  
თფილისი, თლღას ქუჩა, № 6.

== უასი 15 კან. ==

# მშვენიერი პატრონები

იუმორისტი  
ქურნალი

№ 32



სპეკულიაცია

თფილისი, 7 აგვისტო 1916 წ.

როგორ გავუმტლავდეთ სიძვირისა და სპეკულიაციის ხაზღაპრო სიძვირებ. შეზღუდული საკითხის აზრდით დატყუებით სდარაჯობს ჩვენი

უკუღმართი ცხოვრების გორიზონტს და ბელოთაგან არა გემორიდება მისი ურცხვი და უმსავსესი სახე. იცის კიდევ რამდენი დღე, თვე და წლები გავლის, ვიდრე ამ აზრდიდს ჩვენი დუბიური ცხოვრებისას ბოლო მოვუდებოდეს და აღიგვებოდეს იგი გორიზონტიდან.

ამიტომაც გვმართებს ჩვენ მგრაით ჩვეტილით ხელი ყოველგვარ გონიერულ აზრს, თუნდც იგი მანდილოსანთაგან იყოს გამოთქმული და გავაშუქოთ ყოველმხრივ ხალხისათვის გასაგებ და ხელმისაწვდომ ფორმებში.

ჩვენმა რედაქციამ აღთქმა დასდო პირველ მოწინავეში, რომ ეცდება იგი მისი მოწინავეის სიმოკლის შესახებ და დღემდე პირნათლათ ასრულებდეს ამ დაპირებას, მაგრამ დღეს ჩვენს წინაშე დიდი აზრდით სდგას და მოგვხსენებთ, დიდს ფაფას დიდი სულის შებერვა უნდა; ხოლო დიდს აზრდით დიდი გაშუქება.

ჩვენს წინაშე სდგეს საფუძვლიანი შრომა ჩვენი ცნობილი პუბლიცისტი ქალის კეკელა ტკიპაძის ასულია: **ბრძოლა საკითხა**. ეს შრომა იმდენათ საყურადღებო, ღრმით ნააზრევი და რჩევი დარჩებებით მდიდარია, რომ ბადალი ჩვენს მწერლობაში არ მოეპოება. აი სწორეთ ამისათვის გავკადნიერდით და მივეციტ ჩვენს თავს ნება, მოვიყვანოთ აქ მთავარი დებულებანი ქ-ნი კეკელა ტკიპაძის წერილისა და მით ცოტა მეტ ხანს შევირჩინოთ მკითხველთა ყურადღება.

მაშ უშვებოქნია ვალაბარაკოთ თვით ავტორი, უნიკიტრესი ქართველ ქალთა შორის ქ-ნი კეკელა.

„ — რა არის სიძვირე? „

— სიძვირე არის საჭირო საქონელთა გაძვირება, ანუ უკეთ ვსთქვათ აწეულ ფასში გაყიდვა.

აი ამიტომ ისინი, ვინც მანუხსა და შედეგს ზერეულთა უყურებენ და სვანს ძირებს არ უსინჯავენ, ყოველთვის შევქედარ დასკვნებს ასეყვანიან და აფსურდზე გადაიან. ჩვენ შორის ვართ ამ ზერეულური დასკვნებიდან და სვანს პირდაპირ პოკოქში ვუყურებთ.

მაშ რა იწვევს სიძვირეს? ცხადია, სიძვირეს იწვევს თვით საქონელი. ამიტომაც აშკარათ ვეწინა

ღმდეგებით ჩვენში გარცელებულ აზრს, თითქო საქონლის გაძვირება ვაქარ-სპეკულიაციით მიხვით იყოს გამოწვეული. განა ვაჭარი კაცი არ არის? იმასაც ყავს დღე-მამა, ცოლი და შვილი. ამგვართ თუ ჩვენი დებულება მართალია და სიძვირის უმთერესი მიზეზი თვით საქონელია, ცხადია ჩვენი ძალღონეც სწორეთ აქეთ უნდა იყოს მიზყობილი.

აშკარაა, როგორც დღე, უნდა მოისპოს მიზეზი და მოისპობა შედეგით. განვილომა დღემბა ამ მხრივ აქირედ მიგეახლოვა მიზანს. მაგრამ ჯერ კიდევ შორს არის ის ბენდიერი დღე, როცა სრულიად მოისპობა მიზეზი სიძვირისა და ჩვენი ქვეყნის გორიზონტს მომორიდება ის შავი აზრდითი სიძვირისა, რომელიც დარაჯოთ დასდგომია მის კეთილდღეობას.

მოსპეთ საქონელი, მოისპობა სიძვირეც! მისათ ვარჩევ მე ჩემს თანამემამულეთ. ჩვენ ბრძოლა უნდა გამოვეცხადოთ ყოველგვარ საქონელს, ყოველგვარ უშიშრეულთა ნივთსაც კი, ერთი სიტყვით ყველაფერს, რასაც ფსი აძევს, ან შეიძლება დაედოს.

ამიტომ:

ა) მოისპოს და განადგურდეს ყოველგვარი პირნახული, ნათესი, თუ უკვე მოწეული. მაგალითად: პური, ქერი, ლომი, სიმინდი, ფეტვი, ქვავი, ლობიო და სხ.

ბ) გაჩანადგურდეს ბაღები და ზერები; ბოსტნები და პლანტაციები.

გ) გაწუდეს ყოველგვარი შინაური საქონლები, როგორც თხუფხენი, ისე ფრთოსანნი.

დ) დაიწვას ყველა დუქნები, მაღაზიები, აფთიაქები, ქარხნები, ფაბრიკები, სახელოსნოები და სხვა მათ მაგვარი დაწესებულებანი.

ე) მოიზალოს რკინისა და საეტლო გზები, რათო უცხოელებმა ჩვენში საქონელი არ შემოაპარონ. ამგვართ, ხელუხლებელი მხოლოდ წყალი და ჰაერი.

აღარ ვიცი რა უნდა დაუმატოს ეწმეაკის მითარხის „რედაქციამ ამ გარკვეულსა და ნათელ აზრს, აქ იმით აზრის ქონება შეუძლებელიც არის:

არ იქნება საქონელი, აღარ იქნება არც სიძვირე. ნუთუ ამას კიდევ განმარტება სკიპია? ჩვენ არ ვიცით რა თვლით შეხედავენ ამ წინადადებას ისინი, ვინც ჯერ არს მასზე ფიქრობდეს და ზრუნავდეს. ვფიქრობთ ისინიც, იმ გზას აირჩევენ, რომელ-

ზედაც ასე გარკვევით უთითებს ჩვენი სახელოვანი პუბლიცისტი, ქანი კველა ტკიპაძისა და თუ თითონ ამისათვის არა სცალიათ, სხვებს ხელს მაინც არ შეუშლიან.

თქვენ წარმოდგინეთ ის ბედნიერი დღე, როცა საქართველოში არ იქნება არც ერთი ცალი საქონელი და სურსათ-სანოვაგე, აი მაშინ დადგება ჩვენში მშვიდობა და სათნოება. მაშინ მოედება ბოლო ამ თავაშვებულ სპეკულიაციასა და სიძვირს.



# ჭრელი აგებები

## „კოზაქის“ გოდება.

გაზ. „საქართველოში“ მოთავსებულია ბნ ავ. წულაძის (იგივე „კოზაქი“) საყურადღებო წერილი, სიძვირესთან ბრძოლის შესახებ. პატრიცემული ავტორი სამართლიანად ჰგოდებს „სამუშტრო“ საქონელთა უზომოდ გაძვირების გამო და მკირე განსხვავებით თითქმის იზიარებს დღევანდელ ჩვენს მეთაურში გამოთქმულ დებულებებს ქანი კველა ტკიპაძისას.

ჩნუ შემრისხავთ სიმართლისათვის ბრძანებს ბნი „კოზაქი“ (ავ. წულაძე), მაგრამ გარდა უმიზნობისა(??) სოფლებიდან ვაჭრების დარბევა უსამართლობათ(???) მიმანია. ჩემგან და ჩემი ტაფის ამხანაგებისაგან კი ახია ორივე ჯურის ვაჭრები ქაღაქელიც და სოფელიც დავარბიო: („საქართველო“ № 171.) ქანი კველა ტკიპაძეც სწორეთ ამ აზრისა არის. თუ დავარბევთ, ბარე კველა უნდა დავარბიოთ რომ ამით სიძვირეც მოისპოსო.

ლიახ, საქირია და ძლიერ საქირიც ამ საკითხის შესახებ მაინც ერთ აზრს დავადგეთ და ერთის ძალით ვიმოქმედოთ. ჩვენ სისხარულით მიუვებებეთ ყოველგვარ არა თუ „კოზაქია“, თვით აქლემთაა წერილებს ამ საგანზე დაწერილს.

## სახანმოკლე წერილები

წორმოდგინეთ, ამ აუწყრელი სიძვირისა და სპეკულიაციის ხანაში აქა-იქ სასიხარულო ცნობაც გამოჩნდება ხოლმე და გულს სიამით ავსებს. მართლაც მთელი ქვეყანა სპეკულიატორი ხომ ვერ გახდება? და აი ჩვენს „საქაპრო სამრეწველო“ გაზეთის „საქართველოს“ მართლაც მოჰყავს ფრიად მნიშვნელოვანი და გამამხნევებელი ცნობა აბრეშუმის შესახებ:

„საბრეშუმო სადგურის მიერ შეკრებილ ცნობების თანახმად ნუხის მაზრაში ამ უამად აბრეშუმის თხელი ფუთი, 38—43 მანეთი ფასობს, ვეროპული ჯიჰისა 36—41 მანეთამდე, ხოლო იაპონურისა 18—22 მანეთამდე (გაზ. საქართველო № 170.)

განა ვის არ ახსოვს, რომ ჩვენებური ჩარჩები აბრეშუმის თხლს წინეთ, (ომის დაწყებამდე) მისხლობით ყიდდენ ხშირათ მისხალს მანეთად, ასე რომ ფუთი აბრეშუმის თხელი 3840 მანეთა ჯდებოდა. ამაზე ბევრით ნაკლებ არც თვით თფილისის სააბრეშუმო სადგური ყიდდა. შეიძლება ვიფიქროთ გაზეთი ბარეს გულისხმობს თხლს მავიერთო, მაგრამ ისეთ „ვაჭარ მრეწველებს“ როგორიც „საქართველოში“ სხედს, ასეთი შეცდომა არ მოუვიწოდოდა.

მახათ.



## ომი კველ საქართველოში

(„ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით)

### ომის მიზეზი.

თანამედროვე ომის მიზეზების მკვლევარებს როკაცმა დაუჯეროს, ტკუაზე შეიშლება. ერთის მაგიერ ათი-ათასი მიზეზი მოჰყავთ და ბოლოს კი არ იცი ვისი აზრი გაიზიარო. მაგალითად დღევანდელ ომის მიზეზათ ზოგი ნაციონალიზმს ასახელებს, ზოგი იმპერიალიზმს, ზოგი დინასტიურ ინტერესებს და ზოგი კიდევ რას. პირდაპირ ბაბილონის გოდოლია და არ იცი კაცმა სით ქნა პირი.

ვერაფერ ამის მაგვარს ვერ ვხედავთ ძველ სა-  
ქართველოში. აქ ამის მიზეზები ერთობ სადა და  
მარტივია, ყველასათვის გასაგები და ადვილათ შე-  
სათვისებელი. მოიგონეთ თუ რა პირობებში მოხდა  
ტარიელისა და ხატაველთა შორის ამის გამოცხა-  
დება და მაშინვე დამეთანხმებით ამაში. როგორც  
ვიცით ასმათის მიერ ფარდავის აზიდნა და მოფარ-  
დაგებულზე მდგომ ტარიელის მიერ ნესტან-დარე-  
ჯანის შეყვარება ერთი იყო. ისიც ვიცით, რომ სი-  
ყვარულის პირველი ტალღა ისე ძლიერი გამოდგა,  
რომ ტარიელი წამსვე მიწაზე გაშხლართა, ის ტა-  
რიელი, რომელიც, მის ძმობილს აფიანდილს თუ  
დავუჯერებთ, წიწილივით „უკნახავდა“ თავს ლო-  
მებს და ევეხებეს. აი რას ამბობს ამ გაშხლართის შე-  
სახებ თითონ ტარიელი: „დავეცი, დაგბნდი, წამიხ-  
და ძალი მხართა და მკლავისაო“. ამის შემდეგ ტა-  
რიელი კარგა ავად გახდა და ძლივს გადაარჩინეს  
მაშინდელმა ექიმებმა, რომელთაც ზედმიწევნით იცო-  
დნენ მხოლოდ ორი რამ: სისხლის ვაშვება და ტან-  
ში გასაფლარათებელი საშუალებები: საპონი და მი-  
სი ჯანი. ასეთი რადიკალური ექიმობის შემდეგ ტა-  
რიელი, რასაკვირველია, მოარჩებოდა და ეს ასეც  
მოხდა. ახლა, ახლა მოჯობინებულთა იყო, რომ ნესტან-  
დარეჯანისაგან საარსიყო წერილი მიიღო, მაგრამ არ  
იფიქროთ, რომ ჩვენი დროის ქალიშვილებიც თეს-  
ტანი ტარიელს სადმე ხის ძირში პაემანზე იწვევდა.  
იგი ჩვენებურ ქალებს როდი ვაგდა და ამიტომაც  
იყო, რომ სატრფოს მოსწერა:

„ბედითი ბნედა, სიკვდილი  
რა მიჯნურობა გვონია,  
სჯობს საყვარელსა უფენე  
საქმენი საგმირონია,  
ხატავეთს მყოფენი ყველანი  
ჩვენნი სახარაჯონია,  
აწ მათი ჯავარი ჩვენზედა  
ჩვენებან რა დასათმონია.“

ბროზით რომ გამოვსტკევათ აქ ნათქვამი, ნეს-  
ტანი ურჩევს ტარიელს ომი გამოუცხადოს ხატა-  
ვეთს. რათა, რისთვის, რა დააშავა ამ ხალხმა? დი-  
დი არაფერი: ინდოეთის მოხარკე ყოფილა და კი-  
დეც უხდით ხარკი, მაგრამ გულში ცოტა არ იყოს  
უმაყოფილო ყოფილან, ისე ვაკანდიერებულა, რომ  
არ ყვარებია ბატონი და აი ამიტომ ომი მათაო,  
აცხადებს ნესტან-დარეჯანი, რომელსაც ერთობ მა-  
ღე აუსრულდა სურვილი.

დაკვირვებულნი მკითხველი უკვე მიხმდებიან,  
რომ მე ნებსით თუ უნებლობით აქ თანამედროვე  
ომის მიზეზთა ბევრ მკვლევარობთ ერთი სიტყობი-  
სებური რაღაც ჩავიდინე. საქმე იმაში ვახლავთ, რომ  
ნესტან-დარეჯანისთვის ის კი არ იყო თავი და თა-  
ვი მიზანი, რომ ხატაველნი დაეტუქსათ, არამედ  
ტარიელის ვაჟკაცობის გამოცდა, მის მიერ შესაფე-  
რი ეგზამენის დაქერა. უნდა ნესტანისთვის ეჩვენე-  
ბინა საქმენი საგმირონი და ამის შემდეგ შეძლო  
მისი შერთვა. ვსთქვით ვერ ისახელა თავი, მაშინ  
ხომ ჩაპრილი იქნებოდა ეგზამენში და ნესტანის  
ხელსაც დაკარგავდა.

მაშ ამის მიზეზი ესაა და არა სხვა რამე.

**ლიკლი მატრია.**

თანამედროვე სარდლების მდგომარეობა ერთობ  
ცუდია. ისინი იბრძვიან, სისხლს ღვრიან, ათი-ათა-  
სობით ელეტენ თავისიანს და გარეშეს და ბოლოს  
კი ბრძოლის შედეგების გამოპრკვევ-დამფასებელი და  
ამისდამხმედვით ნადავლის ამღები თუ გამცემი სულ  
სხვა პირებია—დიპლომატები. სარდალო, შენი საქ-  
მეა ბრძოლის ველზე ქუხილი, მტრის გაფრტვა,  
აწიოკება, აობრება, სისხლის მორევის დაყენება,  
ხოლო შენს ნამოქმედარს ქვეყნის საერთო ინტერე-  
სების მიხედვით ჩვენ დავაფასებთ, ჩვენ ავწონ-დაე-  
წონითო,—აი რას ეუბნებიან დღევანდელ სარდლებს  
დღევანდელი დიპლომატები. ასე რომ ძალიან ხში-  
რათ ხდება ამნაირათ: სარდალი ომს მოიგებს, იგი  
დარწმუნებულია, რომ სამშობლოს ტერიტორია და  
სხვა ასეთი რამ შესძინა, მაგრამ სამშვიდობო მოლა-  
პარაკების დროს ხედავს, რომ სულ სხვა პირებმა,  
რომელთაც თოფის ხმაც კი არ გაუგონიათ, მოგე-  
ბული ტერიტორიები ისევ მტერს მისცეს რაღაც  
მოსაზრების გამო და გამარჯვებული სარდალი უცებ  
დამარცხებული შეიქმნა. ასეთი მაგალითები ბევრია  
ისტორიაში. ისიც ხშირი მოვლენაა, რომ სარდალს  
დიპლომატები უბრძანებენ სწორეთ იქ გამართოს  
ბრძოლა, სადაც სარდალის აზრით შეუძლებელია.  
დიპლომატები ამას პოლიტიკურის მოსაზრებით სჩა-  
დიან და სარდალის სტრატეგიას როდი აქცევენ ყუ-  
რადღებას, და ამის გამო სარდალიც ხშირად მარცხ-  
დება. ასე რომ ყველა ეს გამოჩენილი გენერლები  
და გენერლისიმუსები ძალიან ხშირათ ამ დიპლომა-  
ტის სათამაშოებია. ეს კარგად იციან ამით და დიპ-

ლომატიაც ჰირივით ეზიზღებთ და მას „კბილებ ჩაქვექვილ დოდო როკას“ ეძახიან.

მაგრამ ასე როდი იყო ძველ საქართველოში. მაშინდელი ჩვენი სარდლები ამ მხრივ პირდაპირ ბედნიერები იყვნენ და ბევრი დღევანდელი გენერალი ინატრებს მათ ბელს. დიპლომატიის სიფერაგე კარგად ჰქონდათ შეგნებული ჩვენს წინაპრებს და მათი ინსტიტუტი არც არსებობდა ჩვენში. ამ ვაე-ბატონების როლს თითონ სარდლები ასრულებდნენ. გასინჯოთ ფაქტები. ხატავლებთან ომის ატეხას ასე აგვიწერს ტარიელი:

„გავგზავნე კაცო ხატავეთს  
და წიგნი ჩემგაგიერი;  
მივწერე: „მეფე ინდოთა  
არსცა ღვთისაგან ძლიერი,  
მათი ერთგული გაძღვების  
ყოველი სული მშვიერი,  
ვინცა ურჩ იქმნეს, იქნების  
თავისა არ მადლიერი.  
ჩვენი ძმობა და პატრონო,  
თქვენ არა გავიშვარებით,  
ესე რა ნახოთ ზრძანება,  
აქამცა მოიარებით;  
თუ თქვენ არ მოხვალთ, ჩვენ მოვალთ,  
ზედა არ მოგეპარებით,  
სჯობს, რომა გვნახნე, თავისა  
სისხლით ნუ ეზიარებით.“

აი ამგვარი ულტიმატუმი გაუგზავნა ტარიელმა ხატავეთის მეფეს. თითონ ინდოეთის მეფე ფარსადანი კი აქ გვერდზე დგას და საქმეს ამირბარი აწარმოებს. მართალია ულტიმატუმის ასრულების ვადა არ განუსაზღვრავს ტარიელს—არ შეუთვლია: პასუხი 24 საათშია, მაგრამ ხატავეთი მაინც გულ-მაგრათ გამოეპასუხა ჩვენს გმირს:

„მოეწერა, რამაზ მეფე  
წიგნსა გიწერ ტარიელსა.  
გამიკვირდა რა ეწერა  
წიგნსა შენსა მონაწერსა!  
რა გვარაა თუ მანდა გეხმე,  
ვინ ვპატრონობ ბევრსა ერსა!  
ამის მეტსა ნულარ ვნახავ  
კვლავლა წიგნსა შენ მიერსა.“

და ამით დასრულდა ომის გამოცხადებაც, არც ელჩების გაწვევ-გამოწვევა მომხდარა, არც ტელეგრაფები შეუწულებიათ, არც მანიფესტები გამოცხა-

დებულა, არც ერთი, არც მეორე, არც მესამე, როცა დიპლომატია არ უშლის ხელს. მაშასადამე კბილი-ნობის შედეგ თავში დაეინახათ. ახლა კი ორიოდ სიტყვით შევნიშნავ, რომ ომის დაწყებისას ჩვენს მთავრობას ხალხის შინაურ ცხოვრებაში არავითარი ცვლილება არ შექონდა. აი, მაგალითად, ისეთი, როგორც მოხდა საფრანგეთში, ინგლისში, ბელგიაში, იტალიაში. იქ ხალხს ბევრი რამ დაუთმეს და ზოგან სოციალისტებიც კი გახდნენ მინისტრათ. ვიმოვრებ, არაფერი ამის მაგვარი ძველ საქართველოში არ ხდებოდა, იქ მაშინვე სამოქალაქო ზავი შეარდებოდა და არც თანამედროვე რუსეთის პროგრესიული ბლოკი იყო საქრო, არც სამხედრო კომიტეტები, არც „ზემგორა“ და არც „სემგორა“;

### სამშვიდობო კონფერენცია.

მოგვხსენებთ, რომ ჩვენი დროის სამშვიდობო კონფერენცია—დიპლომატიისთვის საომარი ასპარეზია; ტყუილ-წამალი სიტყვაა; ზარბაზნ-თოფი—პირი; სტრატეგია კი—სიცრუე და ორპირობა. მაგრამ ძველი ჩვენი სამშობლო ამგვარ უბედურობასაც აშორებული იყო. ვადაშაღეთ მეფის-ტყაოსნის“ 75 გვერდი დ. კარიჭაშვილის გამოცემისა და თქვენს თვალწინ დაიხატება ზიჩის მიერ განასხივრებული ძველი საქართველოს სამშვიდობო კონფერენცია.

„განიბარდის“ ქუდიან მსახურებს (ალბათ კახელები იქნებოდნენ) მხარზე შესული ყავი ინდოეთის მეფე, მის წინაშე შეპყრობილი რამაზ მეფე ქედმობრილი დგას, იქვე ხელ-დაკიდული ტარიელი, რომელიც პატეტურათ ხელის გაშლით ომის დასრულების შესახებ მოხსენებას უეკეთებს თავის მპრძანებელს; ირგვლივ ჩანან ჯარები, დროა.

მეფეს მეფე, რასაკვირველია, მეფურათ მოექცა, აბა ამისთანობაში ქართველეს ვინ დასძრახავდა:

„მას მეფესა ხატაველსა უმასპინძლო, უაღერსა,  
ჟამიერად უბრძანებდის საუბარსა მათსაფერსა.“

მაგრამ, როცა სამშვიდობო კონფერენციის ის იყო უნდა ეთქვა თავის უკანასკნელი სიტყვა—როგორ მოქცეულია რამაზს და მის სახელმწიფოს,—რომ პირველი როლი ისევე ტარიელს დაუბრუნდა:

„ცისკრად მიხმეს, მიბრძანებულს  
 შე სიტყვისა ლმობიერისა:  
 შეუნდობო ხატაველსა  
 მას აქამდის შენაბტერისა?“

ტარიელმა, რასაკვირველია, სულგრძელობა  
 გამოიჩინა და წარმოასიტყვა:

„შეგადრე: ღმერთი ვინათგან  
 შეუნდობს შეკლდებულსა,  
 თქვენცა უყავით წყალობა  
 მას ღონე გაცულებულსა.“

მეფეს მეტი რაღა გზა ჰქონდა—უნდა ეპატიე-  
 ბია რამაზისთვის ყველაფერი და ასეც მოიქცა, მხო-  
 ლოთ ეს კია, რომ ტარიელის მოთხოვნითვე კონ-  
 ტრიბუტია კი საქმათ დაედეს:

„ხარაჯა დასდევს, შეჭკვეთეს  
 ღრაკანი ასჯერ ასია,  
 კვლავ ხატაური ათასი  
 სხვა სტავრა, სხვა ატლასია.“

როგორც ხედავთ ხელის ქუჭკის საქმეში არც  
 მეფე მოქცეულა მეფურად და არც ტარიელი გმი-  
 რულათ,—საქმათ აივსეს ხაზინები, მაგრამ უმად-  
 ლოს ღმერთს რამაზმა, რომ მის სამეფოს სრული  
 ანექსია არ უყევს და ის კი ხაროში არ მოიბრძანეს.

ბევრი დარწმუნებულია, რომ დღევანდელი ომი  
 ვიღჭელმ შეორისთვის ისე გათავდება, როგორც რა-  
 მაზ მეფეს დაემართა; გადაწყვეტილია, რომ ვიღჭ-  
 ელმი კისერზე უღლით მიიყვანონ

სტრია-უნგრეთსაც ზედ მიაყოლებენ, მაგრამ ეს კი  
 არაიენ იცის თუ თითონ იმპერატორს როგორ მო-  
 ქცევა დიპლომატია, რომელიც, როგორც ვიცით,  
 ახლანდელ სამშვიდობო კონფერენციებზე სრული  
 ბატონია და თითონ სარდლებს კი არას კითხავს.  
 მებრალეებიან ახლანდელი სარდლები, რომ ტარიე-  
 ლისებურ სულგრძელობას ვიღჭელმისადმი ქვეყანას  
 ვერ დაანახებენ.

**მოზილიზაცია.**

ძველმა ჩვენმა სამშობლომ არც ტელეგრაფი  
 იცოდა და არც რკინის გზები, მაგრამ ფეხის მოძ-  
 რაობა ყველაფრის მაგივრობას მშვენიერათ სწევდა

და ჯარების მოზილიციკოს გეგმარეულმა სწრაფ-  
 თაოც კი აღდგინდნენ.

ხატავეთის მეფის წერლობა აშკარათ დაარწმუ-  
 ნა ტარიელი, რომ ომი აუცილებელი იყო, ამიტო-  
 მაყო, მოგვეთხრობს იგი:

ვუბრძანე წვეგო ლაშქართა,  
 გავგზავნე მარზხანანია;  
 იგი ვარსკვლავთა ურიცხვი  
 მოკრებს ინდოთა სანანია,  
 შორით და ახლოს ყველანი  
 მართ ჩემვენ მონასხანანია;  
 ერთობ აივსო ლაშქართა  
 მიწდარი, ღლდმ, კახანანია.

ესეც ვაქტათ უნდა ჩაითვალოს, რომ მაშინ-  
 დელ საქართველოს არ სცოდნია, თუ რა არის დე-  
 ზერტორობა და ყველა ერთგულათ მიდიოდა ბრძო-  
 ლის ველისკენ. თორემ ტარიელი როდი იტყოდა:

„ფიცხლა მოუდეს, არ ექნათ  
 მათ ხანდაზგულდობაო.“

თითონ ჯარების ორგანიზაცია რომ შესანიშნა-  
 ვი ყოფილა, ამას ისევე ტარიელი გვეუბნება:

„აღლუმბი ვნახე, მეფეთა  
 ლაშქართა მოკახმულობა,  
 სიჩაუქმ და სიკეთე,  
 კეკლუცათ დარაზმულობა,  
 ტაიქთა მათთა სიმაღლე,  
 აბჯრისა ხვარაზულობა.“

აქედან იმის გავგებაც შეგვიძლია, თუ რა და  
 რა დარგის ჯარები იყო ძველათ ჩვენში. ტაიქების  
 ხსენებით დამტკიცებულია, რომ კავალერია გვეყოლია,  
 მასთან ერთობ სწრაფი და ხვარაზომოდან მოტანილ  
 იარაღით შემკობილი. გვეყოლია, რასაკვირველია,  
 ქვეითი ჯარიც, მაგრამ არტილერიაზე არაფერი ის-  
 მის. შეიძლება აქ ვინმემ რაიმე შევნიშნოს, მაგრამ  
 თუ ისაა დასაჯერებელი, რომ ჩვენ ქრისტიანობა  
 ოთხი საუკუნით აღრე მივიღეთ ქრისტიმდემ (ასე  
 ამბობს ერთი ჩვენი პატრიოტი ხანდიხან თურმე),  
 რატომ არ შეიძლებადა, რომ ჩვენ მაშინ არტილერ-  
 რია გვექონდა? დაასრულა რა ტარიელმა ასე სამა-  
 ვალითოდ ჯარების მოზილიზაცია და გასინჯვა, ხე-  
 ლათ ეკვეთა მტერს:

„ავმართე დროშა მეფისა,  
 აღმიდა წითელ შავითა,  
 დედასა ებრძანე მამართა  
 ლაშქრითა უთავალავითა“.

ამბობს იგი. დამეთანხმებით, რომ ამაზე მეტის სისწრაფით თითონ გერმანელებიც კი არ დაძვრებიან შარშანწინ ფრანგებს.

ყველაფერი ეს, ვიმეორებ აშკარათ ამტკიცებს, რომ ჩვენს სახელმწიფოებრივი ორგანიზმი ძალიან განვითარებული ყოფილა და ომიანობის საქმეც შესანიშნავათ გვექონია მოწყობილი.

(შემდეგი იქნება).

3. მალაქიაშილი.



ოხ, კოლო-კოლო...

ვა, ვა, რამდენი უსაქმო ხალხია დედამიწის ზურგზე! კაცო, ქვეყანა იქცევა, მილიონობით ხალხი იელტება, ღამის არის სიმშლით დავეწყდეთ და ეს მოდნის მამგონები მაინც თავისას არ იშლიან! ქრისტიანო, რა დროს მოდნა, როცა პურის ფულის ნახარჯი ვერ გამოსტუმრებია. სამი თვეა პურის ფული არ მიმიცია ორმოცდა ათ ლის ტიანი პურის ქნიშვა ისეა აფეხებული ციფრებით, გულთი რომ გინდოდეს ერთ ედინიცას ვერსად ჩაურკობ.

ჩემი დედაკაცი კი მამდგომია და მეგებნება:

— გინდა თუ არა კოლო-კოლოს კაბა შამიკერე? —

რა ეჭნა ღმერთმანი არ ვიცი! არ შაუკერო, ვაი ჩები ბრალი, ვინ იცის პასუხდნი ხელიც აღარ ამაკაცუნებინოს ლოყაზე, თორემ კრუპნი არში-ყობას ვილა ჩივის. შაუკერო მოდნები და კუდამდლის გამძვრა ტყავი რალა! არ ვიცი ქრისტეს მადლმა სითი გადავარდეთ, თავი რომ არ შენანგობდეს უფლის მადლმა მეც ერთი ახალ-მოდნურათ კარბოლკი კისლატას დავეღვედი და მოვშორდებოდი ამ აჯახსანდალივით არეულ წუთი სოფელს. არა, ეს კოლო-კოლოა, თუ ვილაც ეშმაკი ნაშედილათ შამოჩენილია რალა! კაცო, რალა ამ მატერიის სიძვირეში გამაივონა ეს განაირი კაბების როცა მატერია იაფი იყო, მაშინ იეთი ვიწრო კაბები იყო მოდანი, რომ სულ სამი ოთხი არშინით იოლათ წაივლიდა ადამიანი. ესლა კი როცა ყველაფერს ცეცხლი ეკიდება ისეთი მოდნა გამოვიდა რომ ორი

თოფი მატერიაც არას გივედრის! ჩვენს ქალსივანო ეს კოლო-კოლოს კაბა რომ შამოჩენილია კაბაკეთო მთელი ბათალიონი ჯარი მოთავსდებოდა შიგ თავისი არტილერიით, პულამტრებით და ამოზთათა მერკაკო, ერთი ეტევა მაინც იყოს კიდენ გაუძღვდებოდა კაცი. რომ დადგამენ შევედნ ვტაროი ეტეჟას, ტრეტის, ჩეთვერის... გვეგონება მელიტაზარიაან-ცის დვარციკო! სადაც საპართალა ის მატრეკლორის კაბები ესლა უნდა იყოს მოდაში ამ მატერიის სიძვირეში.

აფსუს, ჩემო ფეფელო, რომ შინ ეკლორის კაბას ჩიცომდა და ურის ბოხნასავით გამოეკრობოდა შიგა, გული სულ ტაკიტუს დაემწყებდა ხოლმე. სსხიამოვნო შასხედით იყო, ფულიც კოცა ჯდებოდა და დედაკაცოც დაბმული იყო და შიში არაფრისა მქონდა. ისე ჰქონდა ბორკილივით გაყრილი ფეხებში ის კაბა, რომ გულთი რომ სდომებოდა ორ მტკაველს ვერ გადახტებოდა და მართალი გითხრათ არხენიათაც ვიყვი. ესლა არ ვიცი ღმერთმანი ამოტოლა მატერიის დაქარგვა ვირივლი, თუ დედაკაცის! ეს ახალი მოდნის კაბა რომ შაუკერო, ხომ მეც კულში უნდა ვსდიო. ხელათ გამისხლტება ხელიდან, მე შენ გითხრა კაბამ არ დააბრკოლოს აი! თოთხმეტი ბარდანა რომ დააწყო მატყლის, მაინც გადააბოტებს ქრისტეს მადლმა! არ ვიცი ღმერთმანი როგორ გაუღლო ამ დროებას!

მეგრე ეს პირბადლი ჩემი ფეფელო ისეთი ეშხიანი რამ არის, რომ არ მინდა გავაჯავრო. იმანაც იცის ჩემი სლაბი ხარაქტირი, იცის რომ რაც უნდა გაუჯავრდეს ახში ბოლოს მაინც გაუკინებ და რასაც უნდა შვრება რალა! იმ დღეს ერთი ისეთნაირათ შამიკრა ის გიმერვიით თვალები, რომ ჩემ ფუნებაში ეთქვი: ყველაფერი შენი ჰირის სანაცვლოდ იცის მეთქი. ვეგებნება: ფეფელოჯან, აღნათ მოდნი კაბის ფული გინდა, რომ ასე ასობენათ მეარშიცები მეთქი.

— „ხელოჯან, კაბის ზაკაზი მიმიცია და დასახსნელი ფული მომეცია“. ისეთ ნაირათ მიხობრა, რომ ატკაზი ვედარ უთხარ. კაბის ფული რომ მივეცი ერთი კადეც შამომეხვია კისრზედა, შუბლზე ხელი გადამხრა, ულუაშები ზევათ ამიგრიბა და ყურში მეგებნება: „ეს კაბის ფული, მაგრამ შლამისას არ მაძღვეო“. ძალიან გამიკვირდა მაგრამ ამოვიღე და შლამის ფულიც მივეცი, ფული იგდო და არა ხელში მაშენტალნათ გაქუსლა ბაჭარში.



# როგორ ესაიბო გავ



პატარა ვანო. დედა ამბობდა: ძაღლუა ჩემმა, ელენემ მთელს ოჯახს თავი მოსჭრაო.

წასვლისას ერთი კიდეც მომიხედა, შამამკინა, და ისე დამწვარ-დაბრუებული დამტოვა სახლში, ვზივარ ილიოტივით პირდაღებული და სადა ვარ არ ვიცი! დიღხანს დავჩი რიე ხახა დღებუელი. ბოლოს გონს რომ მოველი ავდექი და გარეთ გამოველი, მაგრამ რა დავინახე არა მკითხავთ! გამობრანკულა ჩემი ფეფელა ახალ მოდის კაბაში და მოდის, მაგრამ არე-მარე თან მიაქვს. ახლა შლაპას არ იკითხავთ! შლაპა უყიდნია იმისთანა, რომ უფლის მადლმა კინადამ გავგიყდი რომ შევხედე, კაცო, იმ სიმაღლო პერო ჩაურტყვია შიგა, რომ ტიფლისკი

სტანციის ზელიონი დისკის სტოლომა ღმერთმა შა არცხეინოს იმასთან! ოთახის კარებს რომ მოაღდა როგორც უღლიანი მშუკა ღორი ისე გაიხიდა კარებში მიყვირის:—„არიქა, ხეჩო, მიშველეო“. მივვარდი; მოვხადე შლაპა და ისე წაქცეული შამოვიტანე სახლში, თორემ ის რა კარებში გაიშართებოდა! ახლა აღარ იტყვიტ როგორ გაწიწმატდა ჩემი ფეფელი! ყვირის:—„გინდა თუ არა ეხლავე ააყენეო, თორემ შლაპა ვაფუქტებოაო“.—ვეებნები: ქრისტიანო, როგორ ავაყენო, რომ ამ ვერანა პეროს ხუთი ვერსი სიმაღლე აქვს მეთქი. კიდეც კარგი რომ



# შვიებს დიდების ლაპარაკი



პატარა დათიკო. საწყალი მამა! თურმე მას დედა ჩემზე გული გაუტყლა.

ფეჩის ტრუბის ნახვრეტი ვნახე და იქ მივატყეპინე თავი, თორემ ისე იყო საქმე, რომ ჰერი უნდა ამეხადა რაღა! ვეგზნები: დედაკაცო, ეს რა არის, შლოპაა თუ ტრამეის სტოლბაა მეთქი! ან ეს კაბა რომ გაგიშვია დარჩუა ყასაბის შარვალცივით და ზევიდან ეტაგები წამოგიდგამს რა, პრავოსლაფნი სენარიაა, თუ დგორიანკი უჩილიცა მეთქი.— „შენრა იცი ეს ახალი მოდა—კოლოკოლოფო“, ვა, დავიწერე პირჯვარი და გავეშტერდი რაღა! კაცო, კოლოკოლი მე რუსულათ ზარი გამიგონია და არა კაბა! არა, ღვთის წინაშე ნიენი ეტაეა კაბისა კი

ჭგავს კოლოკოლის ისეა გაგანივრებული ბოლოში. არა, ნამდვილათ ვილაცა დამწკი კვალები იქნება ამისი მამგონი არ უნდა ლაპარაკი. ახ, ერთი უნდა ვნახო სადმე ის ვილაც კოლოკოლოა, რომ დავცევი ბოლო-ბოლო და დაუწყებ დაზელას ზევით-ზევით, ვინ იცის სანამ ზატილოკამდე ავიღე, მინამ ზავეშჩანია დავაწერირო იმ არამზადს იმასი!..

გოგია.

# მესტვირული

მკითხავენ: რათ გაზარმაღდი,  
 რათ გაიშავე პიროო,  
 რისთვის მიაგდე ამდენს ხანს  
 შენი ქამანჩა სტვიროო?  
 რატომ ქმენ მტრების გულისა  
 მოყვასთა გასაკვირიო  
 დღეს უნდა შემოძახებო,  
 დღეს გვაღვას გასაქიროო.

შრომის ქარ ცეცხლმა დამიგღო  
 მან დამიჩლუნგა ყურები,  
 და რაექნა, ხშირით ვერ მნახოთ,  
 ნურავენ დამემღღერებო,  
 ან რავიმღღეროთ, როდესაც  
 არ ვხედავ გასახარელსა,

ქალების სახით ბნელი ბრბო  
 სძარცვენ არბევენ ქალაქებს  
 და მეთაურნი, დგომნებრ  
 განში ხარხარებს ლაქ-ლაქებს,  
 ქურდ ბაცკებშიც ამდგარან,  
 დამრწიან კარის კარზედა,  
 გვერდს უღვას ხელის გამცლიდნი  
 ხელადებული თავზედა,  
 თუ გამოქვექე გმირები,  
 მაგრათ აუწვი კულია,  
 მუქართი დაგდევს ქუჩაში,  
 ხელის შემწყობი, ქურდია.  
 მაგრამ ციკ: შესდექ ავსულნო,  
 ქვეყნისა ნამიარღებო,  
 ხალხი ქუხს რისხვით თქვენზედა  
 საზიზღარ შესაბარღებო.  
 მისთვის მოგმართე დროული  
 ჩემი ქამანჩა სტვიროა,  
 მართალთა ღმერთი აღსდგება  
 მხოლოდ თქვენს საქმეს ვსტვიროა.—

შანჯალა.



# ჩვენი სოფლი გულგულად

(გურული სენა).

მოაწია ივანობისთვის თუთხმეტმა თუ არა და,  
 ააბზუა ჩემმა ფანქვალამ ტუნნი ბახმაროზე წასავა-  
 ლად... მისდღემში ტუბილოთ არ დამოლაპარაკებია  
 და ამ ივანობისთვეში რაცხა ფონცქობაც დაიწყო,  
 ერთი ღერი ვაღუნული სიტყვა არ უთქვამს. მანა-  
 მდი ყანიდან შინ მოსვლა მეზარებოდა, (ყოფიან  
 ძალსსავით შამომიკლაპუნებდა. თურმე ბახმაროზე  
 წასვლა უნდა და თავს მიხოცეს. ბოლოს მითხრა:  
 „ბეჩა, რა უსაშველო სიტყვები დღეწყო! წროოულს  
 რა მეშველება არ ვიცოა“. ქე შევატყვე, რეიხა  
 ტიოდა გული, მარა მეც განზე გუზგდე სიტყვა.

— სიტყვები კი არის უსაშველო, მარა რამ  
 წავგვართვა სუფსე, ჩაწვეი და იღანდალე შით, როცა  
 დაგცხეს.

— სუფსა კი არა, მალარიეს ციება მაქ ტანში  
 და ჰაერზე უნდა გამოშვა საცხა...

— ჰაერი ჩვენს ებოშიც კაია, წამოვედი  
 ნიგვზის ძირში და აქირქილენიე სიოს, ისე ვაგრი-  
 ლდები, რავარც გინახავს სალენი ქვიო.

ბოლოს ვამიტყდა და მითხრა:

— ბახმაროზე მივა ცაი და ქვეყანა და ერთი მეც  
 რომ გამოშვა და დამნახო პაწი ჰიერი, რა იქნება  
 ამით, ახლა მაინც პაწი თითუნის ფულიც ქე ეი-  
 ლე, თვარა სხვა დროში როის ვაწუხებდი?

— თუთუნის ფული თუ ევილე ათასი შამფუ-  
 რი მაქ გარჯობილი ყოველ კერდიდან და იმის გა-  
 სსტუმრებოთ არ მეყოფა.

— მე ვისზე ნაკლები ვარ, ღმერთო კი მომკა-  
 ლი? ქვეყანა ბახმაროზე მივა და მე სახლში რა  
 მომადლებს? რავა, ანთიმოხეს ბუეუტეი, პეტრიეს  
 ფეფიკლე, ივანიკეს სუნდუბტიე რითე მჯობს მე—  
 თვალათ, ტანათ, თუ ავათმყოფობით?

— ავათმყოფობა კი გეყოფა, სხვაი თქვი თვა-  
 რა.

გასახარსალა ფეხი. აღარ მომცა საშველი. დე-  
 იქლარჩა თვალები, იზლუქუნა და იზლუქუნა სანამ  
 დი არ დავიბრიდი წავიყვან მეთქი.

— რაცხა იქნება, ევიხდი ტყავს პირზე, კარ-  
 გი: წავიყვან, მარა, რუმ არა კაცი მივა ჩვენი სოფ-  
 ლიდან?— შენ ვისთან დადგები ოთახში, მარტუე  
 თუ მე მცალია იქინე სადაჩოთ?

— შენ ნუ გენადღებია! მგზავრების შონა ჩემი საქმე იყოს.

დაწყველოს დღერთმა, ჩემს ჯინზე თელი ჩვენი სოფელი ეიბარა ბახმაროზე, თვარა ეგება ქე დემერუნებია. ჩემი ცოლი კილომ ვერ დამძღვდა-მარა იმისანე სიტყვა მითხრა იმ წყუელმა, რომ გამწუა წელში:

— რაჲ, ზასანების ცოლები მივა ბახმაროზე და შენ ავერ მადღიხარ თავზე დელიყანტივით ქჷარიოა. რას ვიზამდი, ვიქირავე ცხენი მამასისხლათ, კაი ტლიკვი თუშანი ვადამხთიეს. სანამდი არ მივე-ცო, ცხენი არ შეკაშეს... ქალი წინ დლით გუშუ-ვი ნაბელლაჲში მუავე წყალზე, (იმას ამოუქჷავედა თვალბეი ღვთის მადლით) მე მეორე დღეს შევკურ-ტენე ცხენი, დავაყარე ბარგი-ბარხნა, კოქოჲე კაქჷანე, საბანი, ერთი სამი ფუთი ქალის ფქვილი, რაცხა რაცხა ხიჷა-პაქუები და გუშუყვი მეორე დღეს. შუუღვეი ნაბელლაჲის აღმართს, ვადავადვი კურტანზე პალტო, მოკვიდე ცხენს აღვირში ხელი, გუშუქხვი წინ, ვწოწავ და მივათრევ, უკან გუხედ-ვათ. გვიარე კაი სამი ვერსი. მივიხედვ, სადლაა ჩემი პალტო, ვადავარდნილა. მივაბი ცხენი წყავის ბოლზე. დავბრუნდი უკან, ვეშევე მარა, შენც არ მომიკვტე, სად არის? აჲ ქე გუშუქჷაზეია ვინსახს... დავბრუნდი ისევლე, მოვხსენი ცხენი და წვედი... მივედი ნაბელლაჲის აბანოზე, ჩემი ამომგდები ფან-ქელიე ქე დამხგდა იქინა, მივაწყველე და მივადუ-გე, შენ დამაქციე კაცი, ხომ დემეკარვა სამ თუშ-ნიანი პალტო მეთქინ.

— შენ რომ შტერი იყო რა ჩემი ბრალიაო, მითხრა.

შამუასკტი გულს, ამ ხალხში რას ვეტყოდო. იმ ღამეს იქინე დავრჩი, მორე დილოს შევეკინე დაქვირთულ ცხენზე ჩემი ქნინა და შეუყვიით ზე-ვით ვიღრაკუნეთ, ვიღრაკუნეთ და რავარცხა იყო, ავაწვიეთ საღამოს ბახმაროზე... კაი, დღამეშული არ იყო. ვიწანწაოლე, ეგება სახლი ვიწონო სამე მეთქინ, მარა, შენც არ მომიკვტე, ისე იყო ყველა სახლები ვაჭვიდილი დანსიკებით, რომ ცხვირს ვერ შეიტანდი შით. იმ ღამეს დავრჩით ვარეთ. ნაძვის ძირში ვავათიეთ ღამე. მეორე დღეს რავარც იქნა შევეზიარე ჩვენს ფეფოკელ ას თოახში, დავტიე ქალი, დუშუტიე ფული, ვუთხარი: რალამც შენი არ მოი-შაღე და ფული ქე დამახარჯვიე, ქე მინც წყიყე-ნე აგი ჰავრი, ერთი ქალს დიემსგავსე, მოკეტი კ-

ცი შენი შტერიო, აფრასავით რომ დავსუღებია მავი ცხვირი ეგება გასუქთე მეთქინ. ნაქელი არ მიიკლო, ფქვილი ქე გაქ, ისევე ქალი, პური და ხორცი ქე იყიდე და შენი ხეფი გვიკეთე და ქე ქამე, მე აფერს ვთხოვ მეთქინ... წვედი სახლში...

დღეიწყე ოჯახობა, ვაპურე ქათმები, ღორები ძროხები, ვხვტე სახლი, ვწველე ძროხა, ყანებოზა ვი-ლა მიიცალა, დემელუბა ყანები... დავტიე ოჯახი და წიწილ-ქათმები ქორმა ჩამეირივა. გვეიდა თუთხმეტი დღეი და მომივიდა წერილი ჩემი ფანქელიედან: ჩემო სულს მიკევა მსხალო, გოჯა, რომ მანხო, ვერ მიცნობ, ისე ჩავებურღული, მხოლოდ ქალის ფქვილი ქე დემელია, ისეთი აპეტრის მად მაქ, რომ ვადაირევი. მაქანაი რომ ერთ საინ ლობიას ვერ მოვხოცი ისე კი არ ვარ, ახლა სამი ოჯა სა-ქმელი არ მყოფნის, არიქა მომაშეველე ფქველი და ფული,—პურს აქანე ველარ ვშოულობთ. გირვანქა ნახეარის მეტს კაცი არ მოკვიდის, იმის გულიზა შუა დღემდი უნდა უტურკუტო ვეჩერდს ფურნე-სან და აგიც ცომი პურიოა“.

დავვაკურდი, ვიყიდე კილომ ფქვილი და ავ-თორაქე ბახმაროზე, მეგონა მართლა, გასუქებული დამხედებოდა ქალი, შენც არ მომიკვტე, ჯოჯოხეთის მაშხალას დამგავსებია იგი შეჩვენებული: თლად დავქველბო გიღელსავით ცხვირი, დაცობა უკან ცხვირს და ქეა, წინ ცხვირი მიდის და უკან იგი მისდევს. რა ღმერთი ვავიწყლა შენ შეჩვენებულა მეთქინ. რაიო და, აქანე აფერი პარიტა არ არის. პურს შენს დროზე ვერ იწონი და ხორცს. კაცი არ მოგასვენებს და ძროხებო. იგი ქველი ნახევა-რი სხვას ვასესხე, ისე დემესიენო. რას მატყუებდი ამა მეთქინ... ბეჩა, ასე ამა, ხომ ვერ წაშულ სახლში, ეგება აწი მევიხელო პაწაო.—ეთქი, მო-ლი დავრჩები ერთ დღე და ღამეს და გვეცნობი, რაცხა ამბავი აქანეა მეთქინ... ვეიარე ტრიანტის წინ. როგორც კინქველები ირევიან ამ ტვერში ხალხი. არის ერთი ვი-უშვეღებელი. ყოველგან ძროხის ფუნა. დანსიკებთან ძროხებიც სერირობდენ. დღამედება თუ არა და შამოცივა ოღას ქვეშ ძრო-ხები და უფხაკუნებენ ზრუჯს და რა დავაძინეს. სულ თლად აყროლებულა უხვირო ფეხის ადგილე-ბით ყორიფელი.—წამოდი შინ თვარა, მოკეტები შენ უბედურო ფანქელა მეთქინ.—არ დამიჯერა... დუშუტიე ყოლიფერი. ავერ გუშხამ კიდევ გუშუგა-

ენ ფეკილი და რაცა პრავიზია. ავი ოჯახი ქე დე-  
მეტკა, ყანებს ქე მომატინა. ჩემი არ დეიჯერა, ვნა<sup>ა</sup>  
ხავ მაინც რაფერ ჩაბურღულებული ჩამოვა სახლში.

ლუკაიხე ობოლი.



### ფოთი.

(ცოდვილთაჲ).

დიდი ხანია, ფოთი ცოდვებში არ მიმხელია.  
ჯოჯობებით კი ამას სხვაფერ ხსნის, კიდევ სწყენია.  
„ალბათ გასწორდენ, არავინ სჩადის ბოროტებასო,  
ჩვენ ჩამოგვშორდენ, დემოკრიდენ ქრისტეს  
მკნებასო“.

უსაფუძვლოა ჯოჯობებისა მავგარი შიში.  
უთვალავია დამნაშავეთა გვარი და გიში.  
გვიან მხილების ბრალი ეშმაკთან რაც უნდა  
შკონდეს,  
ნურავინ ფიქრობს ჯოჯობეთს აცდეს, ცოდვილი  
ცხონდეს.

„თვალთ მიქცმა“ ახლა წარმომიდგინა ცოდვილთა  
სია.

რალა ცალ-ცალკე, ერთად ჩამოვეყვით უკეთესია.  
პირველი არის ვინმე მეკობრე\*) ტელევიზიო  
ბურის და შაქრის ამოყვარა იმან ენიო.

ზღვიდან თუ რამე შამოვიდა საწვავეგო,  
პირში გავიღო და ჩაიღოკა კიდევ ბაგეო.  
შეუღარებლათ შეუსწავლია ჩარჩობანაო,  
თავის ბედელში კაღოთ აქცია სხვისი ყანაო.


ამ საქმეს როცა „შტატის ვაგრე“ აწარმოებდა,  
იქვი არ არის „ტავარიშჩებსაც“ ვინმეს ჰპოვებდა.  
როგორც ირკვევა ეს „ჯიმალეები“ იყო ორიო.  
ხელობით ერთნი, უფლებით არა თანასწორიო.

\*) მეკობრე ზღვის ყაჩაღი.

უფრო შეპაჩით ჩაიტკბარუნეს ანაბი პრიო,  
მარა ორთავეს ერთად მიადგა ვასაჭიროო.  
ორთავეს ერთად ააქრევენეს მძიმე ბარგო,  
უშაქრო ხალხი გაიძახოლა: „ძლიერ კარგო!“

თვით ტელევიზიცი ადრე მოვლის სულთათანასა,  
როგორც „ქათამი ჩხრეკით წააწყდა ერთხელ და  
ნასა  
დარჩა „უთვალოთ“ კანტორის წვრილი ჩარჩუკები  
შაქრის და ფეკილის ბატონ-პატრონი ეს ვირ-  
თხებიო.

დათარეშობენ თავიანთ გათხრილ სოროგებითო,  
და ჯაურ\*\*) კატებს ინადირებენ ჯერე ქებითო.  
დამნაშავეთა საფლავი გახდა ავი შაქარი  
ჯერ უნახავი ძაღლის თავები კიდევ აქ არი.  
ბუტუნა.



### სარეპორტო ყულაბა

ალექსანდრ მიხაილოვიჩი კარგ გუნებაზე იყო  
ისეთს კარგს გუნებაზე, რომ მთელი დილის გან-  
მავლობაში ერთი ტრამევის მოსამსახურეც არ  
მოგუქუნებია, თუნდაც დროებით, სამსახურიდან.  
გაიარ-გამოიარა თავის კაბინეთში, გადახვედა  
ფანჯრიდან ხალხით სავსე ერეყენის მოედანს და ხა-  
რი დააწკარუნა.  
— რას მიბრძანებ ალა-ჯან-შემოიპაზრა ოთახში  
მსახური.

— დარჩო, იცი რა გითხრა, ერთი მოედანზე  
გალი ტრამევი გაჩერე, და იქ ყუთი ჰკიდო  
Ящикъ для жалобъ и заявлениъ“, ჩამოსენენ  
და აქ ამაარბენინე.

მცისეე ასრულეულ იქნა ალექსანდრ მიხაი-  
ლოვიჩის ბრძანება და მის საწერ მაგიდაზე წამოს-  
კულა ზემომსენებული ყუთი.

\*\*) ჯაური—ხვალი მებრძოლი.



— აბა, გახსენი!

პირველი საჩივარი ასეთი შინაარსისა იყო:

— „შუენდ მთ უფალო, რათა არა იციან, რასა ექმოდინა“. ღამე მატარებლთი ჩამოველ და ჩავჯექ ტრამვის ვაგონში; ჩამოიბრა ქაბუქმა ნალაროსანმა და მომთხოვა მავიერთ შაურისა ერთისა შაური სამი. და იყო ნომერი ამა ქაბუქისა ორმოცი და ხუთი. ბლალოჩინი იონან ბეთანული.

ალექსანდრ მიხაილოვიჩმა ამ საჩივრის სამჯერ გადაკითხვის შემდეგ გაიგო ვითარება საქისა და შემდეგი მსჯავრი დასდო:

ტრამვის „ღირექტორს. კანდუქტორი № მე 45 ჩამოყენებული იქმნეს ორი დღით სამსახურიდან, რადგან სამი შაური გამოართვა მანამ იოანეს ბილეთის საფასურად და არა აბაზი ესე იგი შაური ბილეთის ძველი საფასური და სამი შაური ახალი“.

რა ცუდია რომ იცოდეთ, აღევლება ალექსანდრ მიხაილოვიჩის ჯანმრთელობისათვის! აი, ეს-ლა, იგი აღელდა, მაგრამ მაინც მხნედ განაგრძობს საქმიანობას.

„მე კნიაზ მუშტუკიძე ამით ვაცხადებ, რომ თქვენს ტრამვაიზე დიდი უწყსობა სუფევს. ვილაც ოხერი მენახშირე მომიჯდა გვერდით და ჩემი თეთრი შალის ჩოხა სულ მთლად შავად გამითხვარა. ნომერი ტრამვისა იყო ას ცამეტი, ვატმანისა— ოთხმოცდა რვა და კანდუქტორისა ოცდა ერთი“.

ალექსანდრ მიხაილოვიჩმა წამსვე დასდო განაჩენი „ტრამვის ღირექტორს“. დაუყონებლოე გამოორიცხეთ სამსახურიდან კანდუქტორი № 21, რადგან მან მენახშირე სკამზე დაჯინა და შაურის გამორთმევისთანავე ვაგონიდან არ გადმოაგდო. ვატმანი № 88 ორი კვირით საკანში დამწყვედიეთ, რადგან ვაგონი არ გააჩერა, როდესაც ასეთი უწყსობა ხდებოდა მასზე, ვაგონი № 133 ორმოცდა ათი როზგის დაკვრით იქმნეს დასჯილი, რადგან თვით არ გაჩერდა, როდესაც დაინახა ასეთი უწყსობა“.

ალექსანდრ მიხაილოვიჩის ძალზე დაუწყო გულმა ფანტკალი. ეს სულ გულის ავადმყოფობის ბრალია. გულის ავადმყოფობა კი შედეგია მეტის მეტი ენერგიულ უსასყიდლო და უნაგარო მუშაობისა საზოგადო ასპარეზზე.

— ვა! ამაზე მეტი ასკარბლენიაც გინახებო? ჩავჯექი კონკაში თუ არა და, ორი სტანცია არ

გავიარე, ამოვიდა ერთი ქალი ჯანმრთელებს მუხლზე ჩამომავდა და ერთი კაცი ჩამოვარდნილი თავისუფლად კი ჩამოსკუდუნე, გეგონებოდა კრესლოვებზე ზიანო! ერთს სკამზე თორმეტი კაცი ვიჯექით, აი! „ღასპანდ ვარაკოი ვალავა“, არ შაიდებდა რომ ასეთი სლუფიები აღარ მოხდებო? სპაჩტინემ ვას კარაპეტ“.

ალექსანდრ მიხაილოვიჩის განაჩენი:

— ტრამვის ღირექტორს: ყველა ქალაქის ვაგონები, ვატმანები და კანდუქტორები ჩამოყენებული იქმნან ორი დღით სამსახურიდან, რადგან დაუშვეს ასეთი არა სასიამოვნო მოვლენა. რამდენჯერ მითქვამს თქვენთვის, რომ ზედმეტ“) „პასაიერს“ არა მუხლზე უნდა, არამედ კისრებზე. დაჩქარეთ მოზადება ჩემგან გამოგონილ უნაგირებისა „პასასაიერთა კისრებისათვის“.

ალექსანდრ მიხაილოვიჩი საბოლოოდ აღელდა და ამიტომ დანარჩენ საჩივრებს ყური აღარ ათხოვა და კალათში ჩაუძახა. დასასჯელიც აღარავინ ჰყავდა ჯერჯერობით, თორემ კიდევ გამოიტანდა რომელიმე განაჩენს.

გზუგული.



\*) „უმეპიის მათრახის“ რედაქცია აცხადებს, რომ ეს ზედმეტი პოსაიერები ბანი ათაბეგოვი და სვენიკოვი არა ყოფილან. ეს ამბები უფრო ადრე მოხდა, ვიდრე ეს ზემოხსენებული პირნი მიიღებდნენ თავის თავზე ტრამვის საქმეთ-მართვა გამკეობას და კანდუქტორთა ცუმა-ტყუპას.



# ლაგოდაქი.

(გამოცანა).

პატარა, ცუგრუმელა,  
ეშხით მულამ მთერალია.  
მის „ნაურსკის“ გოგმანიით  
მულამ სტკებება „ბალია“.

„უკაველორო“ ვერ დგება  
ვინდ აილოს ვალია,  
რა ჰქნას, არ ემტყუნება  
„პოეოლუსტა“ ქალია!

(მეგრამ ეწიშობ ბენელ პარკში  
არ დამისოს თვალა,  
თარემ ვეღარ უშველის  
ვერც „ჟორტიკას“ ხმალია).

ქეც „არტიტობს“, პატარა,  
ჩენენ სცენის „თვალა“,  
მხოლოდ რუსულ დრამებში,  
(ქართულზე კი შწყრალია).

მეგრამ არც ეს ეძრახვის  
უყვარს „რუსის ბუზიკა“  
ამიტომაც იძახის:  
„ჟალ“ რომ ვარო „გრუზინკა“

სამკითხველოს საქმეზე  
ზრუნვაც მისი ვალია,  
მეგრამ ახლოც არ მინდის,  
მისთვის სადღა სცალია;

გამოიცან მკითხველო,  
ლაგოდების თვალა?  
შე ვსთვეი და გავათავე...  
მსჯავარი შენი ვალია.

# ანიკო და დარიკო

(სენა ხაშურისთვის.)

— გამარჯობა დარიკო!  
— ანიკოს გაუმარჯოს!  
— რაღა დაგფხრეწია, ცაგ, ლავშები რა დეგე-  
მართა?)

— რაი და აქაური ცენის მოყვარების კისე-  
რის მოწირებება. ისე გეიარა ბეჩა თვლმა ზაფხულ-  
მა, რომ ერთი ხეირიანი წამორდგენა არ დუღდ  
გამთ. სულ რაღვა სასცილო კამენდიებით ასე და-  
ვალდითეს ცხვირ-პირი. შენ რეიზა არ დეიარებ  
გოგოვ?

— ვი ბეჩა, იქინე სიარული კი არა დღე და და-  
მე გაჯგუფული მაქეს სახლი რუსის სალდათებით.

— სალდათებს შენთან რა უნდა?

— რაი და „ოტკა“. გამეიარს წინაზე თუარა,  
ლაუძახებ:—რუსო ოტკა ხოჩიტ? „ხაწოლა“ მეტყვის,  
აბა წინილამ წელზა. სასედა უვიდით, მეიარე ზინდ  
ხოლი... ზალზაი ნა ზამორი მეთქი, ვეტყვი. შეშოს  
შინ თუარა, დუღდამ „ოსის“ ექეს შაურინ ოტკას  
და ისთე გამეიყლოურქება, რომ სულ ხოშკაქალი-  
ვით ისერის სამ-სამ მანათიანებს.

— ვოი შენ დეილუპე საცა! ნახვამდის.

— აბა ხალხის გაღღეტა მარტვე აქაურმა ვე-  
რებმა იციან გგონია შენ თუ?!.. ნახვამდის.

აღმაშია.






# ფონტა

**იანონ ციციბას.** თქვენ იწერებთ: ვაგზაფერი ამ ლესებს და კარგი იქნება თუ მაცნობებთ მათ ღირსება-ნაკლავანობასო. მოვიყვანოთ ნიმუშები:

### კრიმანჭული.


ჩამოვიარე ბორჯომზე  
შვეელ ფონტის კანტორაში  
ჩინონიკებს ჩხუბი ქონდათ  
საქმე იყო, როგორც ქაში  
ტირი, ღაღან, ღაღან, ღაღან!

უნდა გამოგიტყდეთ, რომ თუ არ ეს რაღაც „ტირი ღაღან, ღაღან ღაღან“, თქვენს პოეტობაზე ყოველივე იმედი დამეკარგებოდა. თუმცა მიუხედავად ამისა „ღირსებაზე“ ცოცხლა უკაცრავად ვართ, ხოლო „ნაკლულევანობა“ რამდენიც გნებავთ.



დნ შიდაცოცხლად ამის მიუხედავად...  
ოჯახისთვის...  
სიყვარული...  
მივიღო მს. ვინაობა...  
შეიძლება...  
შეიძლება...  
შეიძლება...

**იხმან-ალას.** თქვენ ალბათ არ იცით, რომ ქვეყნად არსებობს ცენზორი, რომელიც სინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას.



## ფოსტის კანტორა თელავში.



თელავი მუშათა საკითხშიაც ერთობ დაწინაურებულია სხვა აგარაკებთან შედარებით. ზედმეტი შრომა აქ არ არსებობს. ყველას აქვს საკმაო თავისუფალი დრო, რომ შრომის შემდეგ დაისვენოს. განსაკუთრებით ეს ითქმის თელავის ფოსტის კანტორაზე. მთელი რაზმი მოხელეებისა ფუსფუსებს კანტორაში და თელავის დახაზამებაში ასრულებს ყოველგვარ თხოვნას. წერილების დაგვიანება, ან რიგის ცდა აქ არც იცინა რა არის. მაგრამ რაღა ბევრი გავაგრძელოთ, სურათი თითონ ლაპარაკობს ამის შესახებ.